პროექტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესის შესახებ

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესი თანდართული სახით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი არეგულირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირებთან (შემდგომში - კანდიდატები) საჯარო მოსმენის გამართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. საჯარო მოსმენის გამართვის მიზანი

საჯარო მოსმენა ტარდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატთა შეფასების მიზნით.

მუხლი 3. კანდიდატის მოსმენის საჯაროობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. კანდიდატებთან საჯარო მოსმენის ორგანიზებასა და წარმართვას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - საბჭო).

2. საბჭო კანდიდატების ანბანური რიგითობის მიხედვით განსაზღვრული საჯარო მოსმენის გრაფიკს, მოსმენის დაწყების ზუსტი დროისა და ადგილის მითითებით, აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისი კანდიდატის საჯარო მოსმენამდე არაუგვიანეს წინა სამუშაო დღისა.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენაზე საბჭოს სხდომის დარბაზში დამსწრეები დაიშვებიან შემდეგი რიგითობით: საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე - ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეზღუდოს საჯარო მოსმენაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. მოსმენის დაწყების შემდეგ დაინტერესებული პირები დარბაზში აღარ დაიშვებიან.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ვიდეო და ფოტოგადაღება დაიშვება მხოლოდ საჯარო მოსმენის დაწყებისას.

მუხლი 4. საჯარო მოსმენის წარმართვის პროცედურა

1. საბჭო, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივრის განხილვის ვადის გასვლიდან, ხოლო საჩივრის არარსებობისას - გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა იწყებს კანდიდატებად რეგისტრირებული პირების საჯარო მოსმენას.

2. კანდიდატების მოსმენის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა საბჭოს თითოეულ წევრს შესასწავლად გადაეცემა კანდიდატების შესახებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია.

3. კანდიდატები საჯარო მოსმენაზე ინდივიდუალურად და უშუალოდ წარდგებიან. საპატიო მიზეზის არსებობისას, კანდიდატის მოთხოვნითა და საბჭოს თანხმობით, მოსმენა შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რის შესახებაც საბჭოს უნდა ეცნობოს საჯარო მოსმენამდე არაუგვიანეს წინა დღისა.

4. კანდიდატი ვალდებულია - მისთვის წინასწარ ცნობილ დროს გამოცხადდეს საბჭოში, ხოლო საჯარო მოსმენის დისტანციურად წარმართვის შემთხვევაში - უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებით განსაზღვრულ დროს დაკავშირება. დადგენილ დროს კანდიდატის გამოუცხადებლობის ან ტექნიკური საშუალებით გონივრულ ვადაში დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანდიდატი მოიხსნება შერჩევის პროცედურიდან.

5. კანდიდატის საჯარო მოსმენა ტარდება საბჭოს ღია სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა მაინც. საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს კანდიდატის მოსმენის აუდიო-ვიდეოჩაწერა.

7. საჯარო მოსმენას ხსნის და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის დროს მის უფლებამოსილებას ასრულებს საბჭოს მდივანი.

8. საჯარო მოსმენის დაწყების წინ სხდომის თავმჯდომარე კანდიდატს აწვდის ინფორმაციას მოსმენის საჯაროდ წარმართვისა და ვიდეო- აუდიოჩაწერის შესახებ, განუმარტავს საბჭოს წევრის აცილების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლებას და არკვევს ამგვარი შუამდგომლობის არსებობას.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების განმარტების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე ან საბჭოს აპარატის უფლებამოსილი მოხელე მოახსენებს საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს მოკლე ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. სხდომის თავმჯდომარე კანდიდატს აძლევს საბჭოს წინაშე საკუთარი თავის წარდგენისა და მოტივაციის დასაბუთების შესაძლებლობას, რის შემდეგაც იწყება კითხვა-პასუხის პროცედურა.

10. კანდიდატს კითხვებით მიმართავენ მხოლოდ საბჭოს წევრები. საბჭოს წევრს თითოეულ კანდიდატთან გასაუბრებისათვის გამოეყოფა დრო - 30 წუთი. საბჭოს წევრის მიერ კანდიდატთან გასაუბრების დროის გაგრძელება დასაშვებია, საბჭოს წევრის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მაგრამ არაუმეტეს ძირითადი დროის ნახევრისა - 15 წუთისა.

11. საბჭოს წევრები კანდიდატს კითხვებით მიმართავენ რიგითობის დაცვით. რიგითობას განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე კითხვის დასმის მსურველ წევრთა მიერ წინასწარი ჩაწერის მეშვეობით. კითხვის ინიციატორი წევრის თანხმობით, საბჭოს სხვა წევრი უფლებამოსილია დამატებითი კითხვით მიმართოს კანდიდატს.

12. საბჭოს წევრების მიერ დასმული კითხვები უნდა უზრუნველყოფდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატთა შეფასების მიზნით საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. კითხვის დასმა უნდა განხორციელდეს კანდიდატის შესახებ წინასწარ შექმნილი განწყობის გამოვლენის გარეშე.

13. საბჭოს წევრის მიერ კითხვის დასმის ამ მუხლის მე-10-მე-12 პუნქტებით განსაზღვრული წესის დარღვევის შემთხვევაში, საბჭოს სხვა წევრს უფლება აქვს გამოთქვას პროტესტი. პროტესტის საფუძვლიანობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია შეკითხვის ინიციატორ წევრს მისცეს შენიშვნა. წესის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრის მიერ დასმული კითხვის განრიდების თაობაზე.

14. კითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე საჯარო მოსმენას დასრულებულად აცხადებს.